

დებულება გამოცდების ჩატარების წესის შესახებ

მუხლი 1. დებულების მიზანი:

- 1.1 წინამდებარე დებულება ადგენს კავკასიის უნივერსიტეტში (შემდგომში უნივერსიტეტი) გამოცდების ჩატარების წესს;
- 1.2 დებულების მიზანია უზრუნველყოს სწავლების ყველა საფეხურზე ერთიანი პროცედურით შუალედური და დასკვნითი გამოცდების ორგანიზება და ჩატარება;
- 1.3 დებულება ატარებს შიდაორმატიულ სამართლებრივ ხასიათს, და შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, უნივერსიტეტის შემადგენლობაში შემავალი სკოლის დებულებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად;
- 1.4 წინამდებარე დებულებით ხელმძღვანელობა სავალდებულოა უნივერსიტეტში შემავალი ყველა სკოლის, აკადემიური პერსონალის, მასწავლებლების, სპეციალისტების, მკვლევარებისა და მოწვეული პერსონალისათვის, ასევე ადმინისტრაციის თანამშრომელთა და სტუდენტთათვის.

მუხლი 2. გამოცდაზე დაშვების პირობები:

- 2.1. სტუდენტი შუალედურ/დასკვნით გამოცდებზე წარადგენს პირადობის დამადასტურებელ მოწმობას.
- 2.2. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც
 - საბაკალავრო სწავლების პირველი ეტაპის სასწავლო კურსში შუალედურ შეფასებებში დააგროვა ჯამური 70 ქულის 51%, ან
 - სწავლების ყველა დანარჩენ ეტაპზე, სასწავლო კურსში, შუალედურ შეფასებებში დააგროვა ჯამური 70 ქულის 60%.
- 2.3. დაუშვებელია სტუდენტის მიერ შუალედურ/დასკვნით გამოცდაზე დაგვიანება არაუმეტეს 10 წუთისა. სტუდენტის მიერ გამოცდაზე დაგვიანების შემთხვევაში იგი მოიხსნება გამოცდიდან (ან შესაბამისი კომპონენტიდან).

მუხლი 3. გამოცდების ჩატარების ფორმა, ვადები და ხანგრძლივობა:

- 3.1. უნივერსიტეტში, ყოველ სასწავლო წელს, სწავლების ყველა დონეზე, შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარების ვადები განისაზღვრება მიმდინარე სასწავლო წლის აკადემიური კალენდრით;

3.2. შუალედური/დასკვნითი გამოცდა ერთსა და იმავე სასწავლო კურსში შეიძლება ჩატარდეს გაერთიანებული სახით;

3.3. შუალედური/დასკვნითი გამოცდის დაწყებამდე საგამოცდო დავალების სტრუქტურა და შეფასების კრიტერიუმები შეთანხმებული უნდა იყოს შესაბამისი სკოლის საგანმანათლებლო პროგრამის დირექტორთან/მიმართულების ხელმძღვანელთან წინასწარ. საგამოცდო დავალება უნდა იყოს სტუდენტებისთვის გასაგებად გადმოცემული და მკაფიოდ ჩამოყალიბებული .

3.4. შუალედური/დასკვნითი გამოცდა შეიძლება ჩატარდეს ელექტრონული წესით.

3.5. საგამოცდო დავალებების გამრავლება და გამოცდისთვის მომზადება, უნივერსიტეტში არსებული რესურსების გამოყენებით უნდა უზრუნველყოს სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტი.

3.6. შუალედური/დასკვნითი გამოცდის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 ასტრონომიულ საათს;

მუხლი 4. გამოცდის ჩატარებასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები:

4.1 გამოცდის პროცესზე მონიტორინგს ახორციელებენ დამკვირვებლები, რომელსაც არჩევს სტუდენტების მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტი, უფლებამოსილი დამკვირვებელი პირებისა და ადმინისტრაციული პერსონალიდან.

4.2. სტუდენტების მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, გამოცდას შეიძლება დაესწროს შესაბამისი საგნის ლექტორი.

4.3. დამკვირვებელი ვალდებულია გამოცდის მსვლელობისას აწარმოოს გამოცდის მსვლელობის ოქმი (იხილეთ დანართი 2), რომელიც დარიგდება სტუდენტების მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ.

მუხლი 5. გამოცდების ჩატარების პროცედურა , საგამოცდო დავალება და გამოცდაზე დასწრების წესები

5.1. საგამოცდო აუდიტორიაში უნდა გამოიყოს ადგილი, სადაც სტუდენტი დატოვებს ჩანთას, წიგნს ან/და ნებისმიერ სხვა ნივთს, რომლის გამოყენებაც უშუალოდ გამოცდის პროცესის დროს არ არის ნებადართული;

5.2. შუალედურ/დასკვნით გამოცდის მიმდინარეობაზე დაკვირვება უნდა განახორციელოს დამკვირვებელმა;

5.3. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უფლებამოსილია შუალედურ/დასკვნით გამოცდაზე დაკვირვება განახორციელოს ვიდეოთვალის საშუალებით, რაც წინასწარ ცნობილი უნდა იყოს სტუდენტებისათვის.

- 5.4. საგამოცდო ტესტის დარიგებამდე დამკვირვებელს უფლება აქვს სტუდენტები სამუშაო ადგილას დასვას თავისი შეხედულებისამებრ. სტუდენტი ვალდებულია დაემორჩილოს დამკვირვებლის მითითებებს.
- 5.5. დამკვირვებელი ვალდებულია 30 წუთის ინტერვალით აცნობოს აუდიტორიას საგამოცდო ტესტის ამოწურვამდე დარჩენილი დრო;
- 5.6. წინასწარ განსაზღვრული დროის ამოწურვის შემდეგ, უკლებლივ ყველა საგამოცდო ნაშრომი ბარდება დამკვირვებელს;
- 5.7. შუალედური/დასკვნითი საგამოცდო დავალება არის ანონიმური. სტუდენტმა მხოლოდ საგამოცდო დავალების თავფურცელზე უნდა მიუთითოს საკუთარი სახელი და გვარი. გამოცდის დასრულების შემდეგ, საგამოცდო ნაშრომი სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ იზიფრება და გადაეცემა ლექტორს შესამოწმებლად;
- 5.8. საგამოცდო დავალების ტესტურ (ე.წ. მრავლობითი არჩევანის შეკითხვების) ნაწილში შემოხაზული უნდა იყოს მხოლოდ ერთი პასუხი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კითხვა ითვალისწინებს ორი ან მეტი პასუხის შემოხაზვას), სხვა შემთხვევაში პასუხი არ ჩაითვლება;
- 5.9. საგამოცდო დავალების ტესტურ (ე.წ. მრავლობითი არჩევანის შეკითხვების) ნაწილში, პასუხის გადასწორების, ანუ გადამლისა და სხვა პასუხის შემოხაზვის შემთხვევაში პასუხი არ ჩაითვლება.
- 5.10. შუალედურ/დასკვნით გამოცდაზე იკრძალება სტუდენტის მიერ კალკულატორის ან/და კოდექსის გადაცემა სხვა სტუდენტისთვის. მისი გადაცემა ჩაითვლება გადაწერის მცდელობად და ორივე გამოსაცდელის ნაწერს დააკლდება მიღებული ქულის 20%;
- 5.11. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტმა ხელის აწევით უნდა მოიხმოს დამკვირვებელი და ჩუმად დაუსვას შეკითხვა. ნებისმიერი ხმამაღლა ნათქვამი ფრაზა, რომელიც შეეხება საგამოცდო დავალებას და სავარაუდოდ, მიზნად ისახავს სხვა სტუდენტისათვის სწორი პასუხის ან ამოხსნის გზის კარნახს, შეფასდება, როგორც კარნახის მცდელობა და გამოსაცდელის ნაწერს დააკლდება მიღებული ქულის 20%;
- 5.12. შუალედურ/დასკვნით გამოცდაზე კატეგორიულად იკრძალება ე.წ. “შპარგალკის” გამოყენება. “შპარგალკად” ჩაითვლება ნებისმიერი სახის მატარებელზე (ქაღალდი, პლასტმასი, ელექტრონული (მობილური ტელეფონი და სხვა) დაწერილი, ამოტვიფრული თუ ჩაწერილი საგამოცდო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია, ასევე ნებისმიერი სახის ფურცელი, თუ იგი არ არის დარიგებული საგამოცდო დავალებასთან ერთად ან არ აქვს დამკვირვებლის ხელმოწერა, ან სხვა ტექნიკური მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც სტუდენტი ცდილობს ან ახორციელებს საგამოცდო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღებას. აღნიშნული დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, სტუდენტს განემარტება დარღვევის არსი, მოიხსნება გამოცდიდან და გაუფორმდება შეფასება – ნული.

- 5.13. დებულების 5.12 გათვალისწინებული დარღვევის განმეორების შემთხვევაში, სტუდენტს გამოეცხადება მკაცრი საყვედური პირად საქმეში შეტანით და საგანში გაუფორმდება შეფასება „F“.
- 5.14. წინამდებარე დებულების 5.12. და 5.13. მუხლებით განსაზღვრული პასუხისმგებლობის ზომები გაფორმდება კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებით, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გამოიცემა კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენლის დასაბუთებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.
- 5.15. დებულების 5.12. და 5.13. მუხლებით განსაზღვრული პასუხისმგებლობის ზომების შეფარდებისას, არ გამოიყენება კავკასიის უნივერსიტეტის დისციპლინური კომისიის დებულებით დადგენილი წესები.
- 5.16. შუალედურ/დასკვნით გამოცდაზე იკრძალება მობილური ტელეფონით სარგებლობა. იგი გათიშულ მდგომარეობაში უნდა იყოს სტუდენტის ჯიბეში, ჩანთაში, ან დამკვირვებლის მაგიდაზე. ასევე, აკრძალულია მობილური ტელეფონის ან სხვა რაიმე ელექტრონული მოწყობილობის გამოყენება კალკულატორის ნაცვლად. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან და გაუფორმდება შეფასება – ნული.
- 5.17. შუალედურ/დასკვნით გამოცდაზე იკრძალება ხმამაღალი და ხელისშემშლელი საუბარი, გადალაპარაკება, ნებართვის გარეშე აუდიტორიაში მოძრაობა, გამოსაცდელის ქცევით გამოცდის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა. აღნიშნული დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, სტუდენტის ნაწერს დააკლდება მიღებული ქულის 20%;
- 5.18. გამოცდის მიმდინარეობისას აკრძალულია დამკვირვებლის ნებართვის გარეშე სტუდენტის აუდიტორიიდან გასვლა;
- 5.19. სტუდენტი ვალდებულია დაემორჩილოს დამკვირვებლის გადაწყვეტილებას, მათ შორის გამოცდიდან მისი მოხსნის ან/და შედეგის განულების შესახებ;
- 5.20. სტუდენტის მიერ საგამოცდო ნაშრომში განყენებული და საგანთან შეუსაბამო მოსაზრებების დაფიქსირება, ჩათვლება სტუდენტის არაეთიკურ საქციელად და ითვლება დისციპლინარულ კომიტეტზე განხილვის საკითხად.

მუხლი 6. გამოცდების გასწორება და შეჯამება

- 6.1 ლექტორი ვალდებულია შუალედური/დასკვნითი საგამოცდო დავალება შეაფასოს ჩატარებიდან არაუგვიანეს ერთი კვირის ვადისა;
- 6.2. შემოწმებულ შუალედურ/დასკვნით საგამოცდო დავალებებს ლექტორი აბარებს სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტს განშიფვრისა და შეფასებების ელექტრონული ნიშნების ბაზაში შესაყვანად.

6.3. სტუდენტს დასკვნითი გამოცდა ეთვლება ჩაბარებულად, თუ მან მიიღო ა) სწავლების პირველი ეტაპის საგნებში 30 ქულის 51% ან მეტი, ბ) სწავლების დანარჩენი ეტაპის საგნებში 30 ქულის 60% ან მეტი. დასკვნით შეფასებაში შესაბამისად, 51% და 60% -ზე ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად არ ითვლება. სწავლის თითოეულ ეტაპზე, სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება ეძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ, დასკვნით გამოცდამდე დაგროვილი შუალედური შეფასებების ჯამური ქულა მინიმუმ 41-ის ტოლია.

6.4. სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება აქვს ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადაში, რომელიც ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

მუხლი 7. შუალედური/დასკვნითი გამოცდის აღდგენის პროცედურები

7.1. სტუდენტს შეიძლება მიეცეს შუალედური ან/და დასკვნითი გამოცდის აღდგენის უფლება მხოლოდ უნივერსიტეტის სტუდენტების მომსახურების და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილობითი ნებართვის შემთხვევაში, მხოლოდ მაშინ, თუ გაცდენა მოხდა საპატიო მიზეზით;

7.2. სტუდენტი ვალდებულია შუალედური/დასკვნითი გამოცდის გაცდენის შემთხვევაში, იმავე დღეს ან გაცდენიდან არაუმეტეს 72 საათის განმავლობაში შეავსოს აღდგენის ფორმის ელექტრონული განცხადება, რომელიც ავტომატურად ეგზავნება სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტს. გაცდენის მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტი/ცნობა შეუძლია ატვირთოს ელექტრონულ განცხადებასთან ერთად ან წარადგინოს სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტში, რათა მოხდეს განხილვა გაცდენილი პერიოდის საპატიოდ ჩათვლის შესახებ. სტუდენტის მიერ, ზემოაღნიშნული მოთხოვნების (მათ შორის, მითითებული ვადების) დაუცველობის/დარღვევის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს სტუდენტის მოთხოვნა გაცდენილი პერიოდის აღდგენის თაობაზე ან/და მიიღოს შესაბამისი ზომები.

7.3. სტუდენტის მიერ შუალედური/დასკვნითი გამოცდის გაცდენა საპატიოდ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ გადაუდებელ, შემდეგ შემთხვევებში: ავადმყოფობა, მივლინება, ქორწინება ან განქორწინება, ჯვრისწერა, უბედური შემთხვევა, მშობიარობა, ოჯახის წევრის გარდაცვალება.

7.4. შუალედური/დასკვნითი გამოცდის აღდგენის თაობაზე, სტუდენტის მიერ წარმოდგენილი დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტი. ცალკეულ გადაუდებელ შემთხვევებში (კონფერენცია, ტრენინგი და ა.შ.) სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტი ითხოვს სტუდენტის მხრიდან წინასწარ ინფორმირებას განცხადების სახით და სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით გადაწყვეტილების მიღებას.

7.5. სტუდენტის მიერ, ერთი სემესტრის ფარგლებში, შუალედური ან/და დასკვნითი გამოცდის ნახევარზე მეტის გაცდენის შემთხვევაში, თუ გაცდენას არ ამართლებს სტუდენტის სუბიექტურად ან ობიექტურად დადასტურებული განსაკუთრებული მიზეზი, გაცდენა არ ჩაითვლება საპატიოდ და სტუდენტს არ მიეცემა გაცდენილი გამოცდის აღდგენის უფლება.

7.6. თუ სტუდენტი რომელიმე საგანში (საგნებში) შუალედურ გამოცდას შეასრულებს აღდგენის სახით, განსაკუთრებული შემთხვევის გარდა, მას აღარ ექნება შესაძლებლობა, ამავე საგნებში მოითხოვოს დასკვნითი გამოცდის აღდგენის სახით შესრულება. განსაკუთრებული შემთხვევის არსებობის ფაქტს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც უფლებამოსილია ყოველი ფაქტის შეფასება/განხილვის შედეგად, დააკმაყოფილოს ან არ დააკმაყოფილოს სტუდენტის განცხადება გაცდენილი პერიოდის აღდგენის მოთხოვნაზე.

7.7. სტუდენტს ჩაეთვლება საპატიოდ გაცდენა, რომელიც გამოწვეულია კავკასიის უნივერსიტეტის მიზეზით;

7.8. შუალედური/დასკვნითი საგამოცდო დავალების აღდგენასა და დასკვნით გამოცდაზე განმეორებით გასვლის შემთხვევაში სტუდენტისათვის წარმოდგენილი საგამოცდო დავალება არ უნდა იყოს უკვე ჩატარებული საგამოცდო დავალების იდენტური.

მუხლი 8. შუალედური/დასკვნითი გამოცდის შედეგების გასაჩივრება

8.1. ლექტორი ვალდებულია შუალედური/დასკვნითი საგამოცდო დავალების შედეგები გააცნოს სტუდენტებს;

8.2. სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტი ვალდებულია შუალედური/დასკვნითი საგამოცდო დავალების შედეგები მიღებისთანავე გააცნოს სტუდენტებს უნივერსიტეტის საიტზე ელექტრონულ ნიშნების ბაზაში ასახვის გზით;

8.3. შუალედური/დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან სამი დღის ვადაში სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს საგამოცდო დავალების შეფასება და მოითხოვოს გასწორებული ნამუშევრის გაცნობა.

8.4. სტუდენტი საგამოცდო დავალების გასაჩივრების შემთხვევაში წერს განცხადებას ვიცე-პრეზიდენტის ადმინისტრირებისა და მონიტორინგის დარგში სახელზე და დასაბუთებულად აღწერს რა ნაწილში არ ეთანხმება ლექტორის შეფასებას. სტუდენტის განცხადება და საგამოცდო დავალება გადაეცემა ლექტორს და საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში ლექტორი მოხსენებით ბარათში (დანართი 3) უარყოფს ან ადასტურებს დასაბუთებით სტუდენტის პრეტენზიის დაკმაყოფილებას და საბოლოო ნიშნის ცვლილებას.

8.5. ვიცე-პრეზიდენტის ადმინისტრირებისა და მონიტორინგის დარგში ეცნობა მოხსენებით ბარათს. საჭიროების შემთხვევაში, მას უფლება აქვს ლექტორის მოსაზრებები გადაამოწმოს

კომისიური წესით. საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სტუდენტის საბოლოო შეფასება იცვლება და იმავე დღეს ცვლილება აისახება ნიშნების ბაზაში, ხოლო შესაბამისი დოკუმენტაცია ინახება სტუდენტის პირად საქმეში.

8.6. პრეტენზიის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს ოფიციალურად მიმართოს დეკანატს;

8.7. საჩივრის განხილვის მიზნით სკოლის დეკანი ქმნის საპრეტენზიო კომისიას, რომელიც შედგება 3 წევრისაგან. მის შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ კავკასიის უნივერსიტეტის შესაბამისი მიმართულების სრული ან/და ასოცირებული პროფესორი, მოწვეული სპეციალისტი ან დარგის ექსპერტი, ასევე სტუდენტთა მომსახურეობისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენელი. საპრეტენზიო კომისია ვალდებულია 3 დღის ვადაში ყოველმხრივ შეისწავლოს და ობიექტურად განიხილოს პრეტენზია. კომისიას უფლება აქვს შეფასება დატოვოს ძალაში, ნაშრომი შეაფასოს საუარესოდ ან პირიქით. საპრეტენზიო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები და წარუდგენენ ვიცე-პრეზიდენტის ადმინისტრირებისა და მონიტორინგის დარგში. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 9 . გამოცდების ჩატარების შესახებ დებულების დამტკიცება

9.1. გამოცდების ჩატარების შესახებ დებულებას სტუდენტების მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის მმართველი საბჭო;

9.2. დებულებაში ცვლილების შეტანის აუცილებლობის შემთხვევაში სტუდენტების მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორი წარადგენს მოხსენებას უნივერსიტეტის პრეზიდენტის სახელზე;

9.3. დებულებაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მმართველი საბჭოს მიერ შესაბამისი ნორმატიული აქტის საფუძველზე.